<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

„გრანტების შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20,
30.07.96, გვ. 11) მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტით შექმნილი და აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის წესდების/დებულების მიზანია: ახალგაზრდული პროექტების განხორციელება; დასაქმების ხელშეწყობა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
2021 წლის
№